21.01.2019-დან 01.02.2019-მდე ოკუპირებული აფხაზეთი უცხოურენოვან მასმედიაში

„აფხაზეთის მინისტრთა კაბინეტის განცხადება“

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ნავთობისა და გაზის მოსაპოვებლად საძიებო სამუშაოების ლიცენზიის გაგრძელების საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებაში გამოწვეული მღელვარების პაუხად დე-ფაქტო მთავრობის პრეს-ცენტრი განცხადებას აქვეყნებს .

განცხადებაში ვკითხულობთ:

„წიაღისეულით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულება შეიცავს წიაღისეულის დაცვას და მის რაციონალურად გამოყენებას, ჭაბურღილების ტექნიკურ და ეკოლოგიურ აუდიტს, რომლის შესახებ დასკვნაც უნდა წარედგინოს აფხაზეთის მთავრობას.

სალიცენზიო პირობები წიაღისეულით მოსარგებლის მიერ, არ დარღვეულა და ვალდებულებები სრულდება.

გასათვალისწინებელია, რომ აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობას ნახშირწყალბადების მოსაპოვებლად გამოკვლევების პროექტების ეფექტურობის შესახებ, არ გააჩნია საჭირო გეოლოგიური ინფორმაცია და კომპანიები, რომლებმაც მიიღეს უფლება აწარმოონ აღნიშნული გამოკვლევები, რიგი სახელმწიფოების მხრიდან ეკონომიკური და სხვა ტიპის სანქციების გამო, დგანან დაბანდებული სახსრების დაკარგვის რისკის წინაშე.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული პროექტების წარმატებით რეალიზაცია დადებითად აისახება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

ამგვარად, ვხელმძღვანელობთ, რა აფხაზეთის რესპუბლიკის კანონმდებლობით და საერთაშორისო ვალდებულებებით, აგრეთვე, სალიცენზიო პირობებთან შეუსაბამობის შესახებ აფხაზეთის რესპუბლიკის საპარლამენტო კომისიის დასკვნის არარსებობის გამო მინისტრთა კაბინეტმა აფხაზეთის ტერიტორიაზე გეოლოგიურ გამოკვლევაზე და ნახშირწყალბადების მოპოვებაზე ლიცენზიის გაგრძელების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება“.

ინფორმაციისთვის, როსნეფტს აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებასთან ხელშეკრულება 2009 წლის დეკემბერში აქვს გაფორმებული, რომლის თანახმად, ნავთობისა და გაზის მოსაპოვებლად საძიებო სამუშაოები გუდაუთის აკვატორიაში უნდა დაწყებულიყო. კომპანია ამაში 15 მლრდ. დოლარის დაბანდების პირობას დებდა. მაშინდელმა დე-ფაქტო პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა საზეიმოდ გამოაცხადა, რომ რესპუბლიკის ეკონომიკის აყვავება დაიწყებოდა, თუმცა ეს მოლოდინი დასავლური სანქციების არ გამართლდა.

22.01.2019 ვრცლად იხ. რუსულენოვან ვებგვერდზეhttps://km-ra.org/index.php/ru/news/item/1495-soobshchenie-press-sluzhby-kabineta-ministrov-respubliki-abkhaziya

„რუსეთის პრემიერ-მინისტრმა სახელმწიფო პროგრამებზე პასუხისმგებლობა 10 ვიცე-პრემიერზე გადაანაწილა“

რუსული მედია ჰოლდინგის РБК-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა სახელმწიფო პროგრამების შესრულებაზე პასუხისმგებლობა ვიცე-პრემიერებს დააკისრა.

რუსეთის ფედერაციაში 47 სახელმწიფო პროგრამა არსებობს და ისინი 10 ვიცე-პრემიერზე გადანაწილდა.

ვიცე-პრემიერ ვიტალი მუტკოს დაეკისრა ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალური ოლქის და კალინინგრადის რეგიონის განვითარებაზე, აგრეთვე, ოკუპირებულ აფხაზეთთან და ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონთან ე.წ. სოციალურ-ეკონომიკურ თანამშრომლობაზე პასუხისმგებლობა.

22.01.2019 https://www.rbc.ru/politics/22/01/2019/5c46baf99a7947f371a3c107

„ოკუპირებულ გალში აფხაზი და ქართველი ენერგეტიკოსები ერთმანეთს შეხვდნენ“

ოკუპირებულ აფხაზეთში, გალის რაიონში ქართველი და აფხაზი ენერგეტიკოსების შეხვედრა გაიმართა, სადაც ზამთრის პერიოდში ოკუპირებულ აფხაზეთში შექმნილი ენერგოდეფიციტი და თებერვალსა და მარტში ენგურჰესის მუშაობა განიხილეს.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სახელმწიფო ელექტროსისტემის ხელმძღვანელი დავით თვალაბეიშვილი, ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის გენერალური დირექტორი ვახტანგ ამბოკაძე. აფხაზურ მხარეს კი კომპანია "ჩერნომორენერგოს" ხელმძღვანელი ასლან ბასარია წარმოადგენდა.

ინფორმაციისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ენგურჰესზე გამომუშავებული ელექტროენერგია ზამთრის თვეებში თითქმის სრულად ოკუპირებულ აფხაზეთს მიეწოდება, არაღიარებული რესპუბლიკა ენერგოდეფიციტს განიცდის.

22.01.2019 https://apsadgil.info/news/

„ასიდა შაკრილის განცხადება“

საქართველოში გამოვლენილი H1N1 ვირუსის გამო, აფხაზეთის დეფაქტო მთავრობის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთთან დამაკავშირებელი ე.წ. საზღვრის დროებით ჩაკეტვას და მ/წ 23 იანვარს ოკუპირებული გალის ე.წ. ადმინისტრაციასთან ქართველი მოსახლეობის საპროტესტო აქციას არაღიარებული რეგიონის ომბუდსმენი ეხმაურება.

ასიდა შაკრილის განცხადებით, დე-ფაქტო ხელისუფლებას უნდა მოეხდინა აღნიშნული გადაწყვეტილების უბრალო ადამიანებზე ნეგატიური ზემოქმედების მინიმალიზება. გალის ე.წ. ადმინისტრაციას უნდა ქონოდა მიახლოებითი მონაცემები, თუ რამდენ ადამიანს შეეხებოდა ეს პრობლემა.

ასიდა შაკრილის განცხადების დასასრულს ვკითხულობთ:

„კარანტინთან დაკავშირებული სიტუაცია მძიმდება იმითაც, რომ გალის მოსახლეობის პასპორტიზაციის და სამართლებრივი სტატუსის საკითხი დღემდე ბუნდოვანი და გაურკვეველია, რაც გამოწვეულია მოცემული თემისადმი არაპოლიტიზირებული გრძელვადიანი მიდგომის არარსებობით.

გალის რაიონის პრობლემები თავისთავად ვერ გადაწყდება და მხოლოდ დაგროვდება, რაც უთუოდ გამოიწვევს ადამიანის უფლებების დარღვევების კუთხით სიტუაციის დამძიმებას. ამიტომ, დღის წესრიგში პრიორიტეტული უნდა იყოს გალის რაიონის მოსახლეობის პრობლემების გრძელვადიანი და სამართლიანი გადაწყვეტის საკითხი.

24.01.2019 http://abkhazinform.com/tochka-zreniya/item/8340-asida-shakryl-sledovalo-vsestoronne-produmat-mery-po-minimizatsii-negativnogo-vozdejstviya-zakrytiya-granitsy-na-zhizn-prostykh-lyudej?fbclid=IwAR2GuKjWdUt1pigFCPIuGO3I9xTAIBTZYkz9A_M4oily7dxu-ULy9uWCrAY

„აფხაზეთში ახალი ტიპის 98 000 პასპორტი დარიგდა“

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ვიცე-პრემიერმა ასტამურ ქეცბამ სამუშაო შეხვედრა გამართა, სადაც განიხილებოდა ე.წ. აფხაზეთის მოქალაქის ახალი ტიპის პასპორტების გაცემის საკითხი.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა დე-ფაქტო შსს-ს საპასპორტო სამმართველოს ხელმძღვანელი ედუარდ მანარგია, რომელმაც დამსწრეთ მოახსენა, რომ 2019 წლის 24 იანვრის მონაცემებით, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ე.წ. ახალი პასპორტის მიღების თაობაზე 124 400 განცხადებაა რეგისტრირებული. გაცემულია 98 000 ე.წ. ახალი პასპორტი, 8 000 მზადაა გასაცემად და 11 000 განცხადება ახალი პასპორტის მიღებაზე შემოწმების პროცედურას გადის.

24.01.2019 **https://km-ra.org/index.php/ru/news**

„აფხაზეთის მთავარი სანიტარული ექიმის ინტერვიუ'

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. მთავარმა სანიტარულმა ექიმმა ლუდმილა სკორიკმა ენგურის ხიდზე შეზღუდვების შესახებ „ეხო კავკაზა"-ს ჟურნალისტებთან ისაუბრა. მისი თქმით, საკარანტინო პუნქტის მოხსნაზე ჯერჯერობით ნაადრევია საუბარი.

ლუდმილა სკორიკის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გრიპთან დაკავშირებით სიტუაცია შედარებით სტაბილურია, კარანტინი ადმინისტრაციულ საზღვარზე მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიხსნება, „როდესაც ასი ათას ადამიანზე 256 ავადმყოფი დაფიქსირდება".

ე.წ. მთავარი სანიტარის განმარტებით, ვინაიდან, რესპუბლიკაში დაავადებების პიკი თებერვალზე მოდის, ხოლო კარანტინი 10 იანვარს გამოცხადდა, ამ ვადაში იანვართან ერთად თებერვალიც უნდა მოექცეს.

მისი ინფორმაციით, „ღორის გრიპი" აფხაზეთში ბოლოს 2009 წელს დაფიქსირდა, რა დროსაც, სწორედ გალის რაიონში დაიღუპა 8 ადამიანი.

24.01.2019 ვრცლად იხილეთ რუსულენოვან ვებგვერდზე **https://www.ekhokavkaza.com/a/29728908.html**

„საქართველოს მოქალაქის დაკავება"

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე შპიონაჟის ბრალდებით 1962 წელს ტყვარჩელის რაიონში დაბადებული საქართველოს მოქალაქე უშანგი ფარულავა დააკავეს. ამის შესახებ, დე-ფაქტო სახელმწიფო უშიშროების საბჭო ე.წ. ოფიციალურ ვებგვერდზე იუწყება.

განცხადებაში ვკითხულობთ, „ოპერატიული ინფორმაციის რეალიზების შედეგად დაკავებულია საქართველოს სპეცსამსახურების დავალებით მოქმედი საქართველოს მოქალაქე, რომლის კუთვნილ დამხმარე ნაგებობაში ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილია ფ-1 ტიპის ხელყუმბარა, ელექტროდენატორი და 5,45 მმ კალიბრის ტყვიები".

უშანგი ფარულავას მიმართ, ე.წ. სახელმწიფო უშიშროების საბჭოს საგამოძიებო განყოფილების მიერ, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ე.წ. სისხლის სამართლის კოდექსის 274-ე მუხლით (სხვა სახელმწიფოსთვის და მისი წარმომადგენლებისთვის სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაციის გადაცემა) და ე.წ. სსკ-ის 217-ე მუხლით (საბრძოლო მასალების შეძენა შენახვა).

ქ. სოხუმის ე.წ. სასამართლოს მიერ უშანგი ფარულავას აღკვეთის სახით წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეეფარდა.

25.01.2019 **http://sgbra.ru/news_sgb/index.php?ELEMENT_ID=417**

„დაურ კოვე გაეროს წარმომადგენლებს შეხვდა"

ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი დაურ კოვე გაეროს მუდმივ კოორდინატორს ლუიზა ვინტონს, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელს ჰასან ხალილს და გაეროს ლტოლვილთა საკითხებში უმაღლესი

კომისრის ოფისის (UNHCR) რეგიონულ წარმომადგენელს- იოჰანეს ვან დერ კლაუს შეხვდა. შეხვედრაზე ენგურის ხიდზე დაწესებული შეზღუდვები და გალის რაიონის მაცხოვრებლების მდგომარეობა განიხილეს.

ლუიზა ვინტონმა ე.წ. დაურ კოვეს მიმართა თხოვნით, განიხილოს ადმინისტრაციულ საზღვარზე შეზღუდვების მოხსნის შესაძლებლობა. მისი თქმით, ენგურის ხიდის ჩაკეტვა ნეგატიურად ისახება იმ პროექტებზეც, რომლებიც ჯანდაცვის სფეროში ხორციელდება.

გაეროს მუდმივმა წარმომადგენელმა აფხაზურ მხარეს განუმარტა, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მათ დაუდასტურეს, რომ საქართველოში გრიპთან დაკავშირებული მაჩვენებლები საფრთხის შემცველი არ არის.

დაურ კოვემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ენგურის ხიდზე კარანტინი მხოლოდ აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების გრიპის ვირუსისგან დაცვის მიზნით დაწესდა.

შეხვედრაზე საუბარი ასევე შეეხო ე.წ. პასპორტიზაციის საკითხებს და გალელების თავისუფალი გადაადგილების პრობლემებს.

25.01.2019 **http://mfaapsny.org/ru/allnews/news/othernews/daur-kove-provel-vstrechu-s-rukovoditelyami-agentstv-oon-v-abkhazii-/**

„ცენტრალური სამხედრო ჰოსპიტალის ხელმძღვანელის ინტერვიუ“

26 იანვარს მედია კლუბი „Аҧсны.иахьа“ ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ცენტრლური სამხედრო ჰოსპიტალის და ე.წ. აგუძერის ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს (აგუძერის რაიონული საავადმყოფო) ხელმძღვანელის ზურაბ აჩბას ინტერვიუს აქვეყნებს.

ინტერვიუში ზურაბ აჩბა ზოგადად შეეხო აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჯანდაცვის კუთხით არსებულ პრობლემებს და დეტალურად ისაუბრა აგუძერის საავადმყოფოს სავალალო მდგომარეობაზე.

საავადმყოფოს ხელმძღვანელის თქმით, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი კომპიუტერული ტომოგრაფიის აპარატია, რომელიც აგუძერის საავადმყოფოშია და ის კერძო სამედიცინო კლინიკას ეკუთვნის. ზურაბ აჩბამ დაამატა, რომ არაღიარებულ რეგიონში მხოლოდ ერთი მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფიის აპარატია, რომელიც ასევე კერძო კლინიკას ეკუთვნის და ე.წ. რესპუბლიკურ საავადმყოფოში ფუნქციონირებს.

აგუძერის საავადმყოფოზე საუბრისას, რომელიც ითავსებს სამხედრო ჰოსპიტალის და ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს ფუნქციას, ზურაბ აჩბამ აღნიშნა, რომ ე.წ. სახელმწიფოს მხრიდან სამხედრო მოსამსახურების *(ოკუპირებული აფხაზეთის ძალოვან სტრუქტურებში მოსამსახურე პირები, სამხედრო კონფლიქტის დროს დაღუპულთა ოჯახის წევრები და ოკუპირებულ ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის საოკუპაციო ჯარის მოსამსახურეები)* მკურნალობისთვის მედიკამენტებით მომარაგების კუთხით არანაირი პრობლემა არ არის. სავალალოა მდგომარეობა სამოქალაქო პირების სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფის კუთხით. ზურაბ აჩბას თქმით, ე.წ. სახელმწიფოს მხრიდან 25 წლის განმავლობაში არანაირი მხარდაჭერა, არ ყოფილა. საავადმყოფოში ამ ხნის მანძილზე, არ ჩატარებულა რემონტი, არ გააჩნია კანალიზაცია, არ არის გათბობა, ზოგან ჭერია გადახდილი.

სიუჟეტს თან ახლავს აგუძერის საავადმყოფოს მდგომარეობის ამსახველი კადრები.

26.01.2019 იხილეთ ვიდეო **https://www.facebook.com/apsny.today/videos/343416072920214/**

„რუსეთში სწავლა-განათლების მიღების მსურველთათვის“

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები აბიტურიენტებისთვის, რომელთაც რუსეთის ფედერაციის უმაღლეს სასწავლებლებში სურთ განთლების მიღება 2019 წლის 31 იანვრამდე უნდა დარეგისტრირდნენ საიტზე WWW.RUSSIA.STUDY.RU.

ამის შესახებ, აბიტურიენტებთან შეხვედრის დროს ოკუპირებულ აფხაზეთში „როსსოტრუდნიჩესტვოს“ კონსულტანტმა დიმიტრი კონონოვმა განაცხადა.

2018 წლის 6 დეკემბერს „როსსოტრუდნიჩესტვომ“ საკვალიფიკაციო კამპანიის დაწყების შესახებ განაცხადა. რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მსურველებს ექსპერტებმა განუმარტეს, ოკუპირებული აფხაზეთისთვის გამოყოფილი კვოტები არ ითვალისწინებს იმ სპეციალობებზე სწავლებას, რომლებიც ე.წ. აფხაზურ უნივერსიტეტში არსებობს.

დიმიტრი კონონოვის განცხადებით ,,როსსოტრუდნიჩესტვოს' ჯერჯერობით, არ გააჩნია ოკუპირებული აფხაზეთისთვის გამოყოფილი კვოტების რაოდენობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია, მაგრამ აღნიშნა, რომ სავარაუდოდ, უფრო მეტი ადგილი მაგისტრატურაში და ასპირანტურაში იქნება.

აგრეთვე, კონსულტანტმა დაამატა, რომ კვოტის მოსაპოვებლად კონკურსი მ/წ თებერვალ-მარტში ჩატარდება.

28.01.2019 http://abkhazinform.com/item/8349-abiturienty-zhelayushchie-poluchit-vysshee-obrazovanie-v-rf-dolzhny-do-31-yanvarya-zaregistrirovatsya-na-sajte-www-russia-study-ru

„რაულ ხაჯიმბამ თევზჭერის საკითხთან დაკავშირებით თათბირი ჩაატარა“

ოკუპირებული აფხაზეთის საზღვაო აკვატორიაში თევზჭერის საკითხთან დაკავშირებით, ე.წ. პრეზიდენტმა თათბირი ჩაატარა, სადაც ისაუბრა თევზის ამოღებაზე სათანადო მკაცრი კონტროლის დაწესების აუცილებლობაზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, რაულ ხაჯიმბამ დე-ფაქტო სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ბუნების დაცვისა და ეკოლოგიის ე.წ. სახელმწიფო კომიტეტს დაავალა, უზრუნველყონ თევზჭერის პროცესის მაქსიმალური გამჭვირვალობა, რათა დადგინდეს ამოღებული თევზის რეალური რაოდენობა.

აგრეთვე, დე-ფაქტო სახელმწიფო უსაფთხოების საბჭოს საზღვრის დაცვის დანაყოფებს დაევალათ, თევზის რეწვის საწარმოების მიერ თევზჭერის დადგენილი წესების დაცვის კონტროლი და დარღვევების შემთხვევაში, მათ მიმართ, არაღიარებული რეგიონიდან გაძევების ჩათვლით, სათანადო ზემოქმედების განხორციელება.

ე.წ. სახელმწიფო საბაჟო კომიტეტს დაევალა, განახორციელოს თევზის ექსპორტის მკაცრი კონტროლი.

ინფორმაციისთვის, შავი ზღვის აკვატორიის ოკუპირებული აფხაზეთის მონაკვეთზე ე.წ. მთავრობის გადაწყვეტილებით, 2018-2019 თევზჭერის სეზონის დროს დაშვებულია 27 000 ტონა თევზის ამოღება.

28.01.2019 http://presidentofabkhazia.org/

„სამხედრო სწავლებები“

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსეთის ფედერაციის სამხრეთის სამხედრო ოლქის ბაზის 3 000 სამხედრომ სწავლებებში მიიღო მონაწილეობა.

სწავლებებში მონაწილეობდა 300 ერთეული სამხედრო ტექნიკა, მათ შორის თანამედროვე Т-72Б3 ტანკები და ჯავშანმანქანები "Тигр".

28.01.2019 https://tass.ru/armiya-i-opk/6048299

„ასიდა შაკრილის პრეს-კონფერენცია“

ოკუპირებული აფხაზეთის სახალხო დამცველმა ე.წ. აფხაზეთის სახელმწიფო ტელერადიოკომპანიის პრეს-ცენტრში თავისი მოღვაწეობის ამოცანებზე და პრობლემებზე ისაუბრა.

კერძოდ, ერთერთ პრობლემად ასიდა შაკრილი ზოგიერთი ჩინოვნიკის არაკომპეტენტურობას და ე.წ. კანონის არცოდნას ასახელებს. მისი თქმით, ზოგიერთ ე.წ. სახელმწიფო სტრუქტურაში არაერთი მიმართვის მიუხედავად ხდება ჩინოვნიკების მიერ მისი მოთხოვნის იგნორირება, რისი უფლებაც მათ არ აქვთ.

განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებზე საუბრისას ასიდა შაკრილმა აღნიშნა, რომ სკოლებში არ არის უზრუნველყოფილი ბავშვების სამოქალაქო განათლების უზრუნველყოფა.

ასიდა შაკრილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მხოლოდ იანვრის თვეში დე-ფაქტო სახალხო დამცველის აპარატს დახმარებისთვის უკვე 27 მოქალაქემ მიმართა. უმეტესწილად ხალხი უკმაყოფილოა ე.წ. სასამართლო გადაწყვეტილებებით.

ჟურნალისტებთან შეხვედრისას, დე-ფაქტო ომბუდსმენმა დიდი დრო დაუთმო ოკუპირებული გალის რაიონის მოსახლეობის პრობლემებს. კერძოდ, ასიდა შაკრილმა, მაგალითად მოიყვანა ერთ-ერთ ქართველ ქალბატონთან გასაუბრება, რომელმაც განაცხადა, „მე აფხაზეთის ძირძველი მკვიდრი ვარ და არ ავიღებ ბინადრობის ნებართვას. გამაჩნია აფხაზეთის მოქალაქის ძველი პასპორტი და ახალს არ მაძლევენ“. დე-ფაქტო ომბუდსმენმა დაამატა, „ *არსებობს ადამიანების კატეგორია, რომელთაც სურთ საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმა და აფხაზეთის მოქალაქეობის მიღება, მაგრამ საქართველო მათ არ აძლევს ამის იურიდიულად დადასტურებულ უფლებას. ჩვენს ინტერესებშია მოვიფიქროთ, თუ რა ტიპის ლეგიტიმური დოკუმენტი შეიძლება გავცეთ იმ ადამიანებზე, რომელთაც სურთ საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმა“.*

პრეს-კონფერენციის დასასრულს ასიდა შაკრილი შეეხო ოჯახური ძალადობის თემასაც. მისი თქმით, ამ პრობლემის გადასაწყვეტად პირველ რიგში საჭიროა „კანონი ოჯახრი ძალადობის შესახებ“ და კრიზისული ცენტრების შექმნა, როგორც ბავშვებისთვის ასევე მოზრდილთათვისაც

29.01.2019 ვრცლად იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე https://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20190129/1026460069/Chinovniki-ignoriruyut-zaprosy-ombudsmen-Shakryl-vstretilas-s-pressoy.html

„საქართველოს ორი მოქალაქის დაკავება“

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭოს პრეს-სამსახურის ინფორმაციით, მამუკა კუკავა და გოჩა გულორდავა მაშინ დააკავეს, როდესაც ისინი საქართველოდან აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლას ცდილობდენ.

დაწყებულია ე.წ. გამოძიება, დაკავებულებს წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეეფარდათ და ისინი, ქ. სოხუმში, წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფებიან.

30.01.2019 http://sgbra.ru/news_sgb/index.php?ELEMENT_ID=419